საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია
სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2013 წლის 16 დეკემბრის
№1028 დადგენილებით
მოდიფიცირებულა
აკადემიური საბჭოს
2022 წლის 4 აგვისტოს
№01-05-04/110 დადგენილებით

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

არქეოლოგია
Archaeology

ფაკულტეტი

საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Engineering Economics, Mediatechnologies and Social Sciences

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები

ასოცირებული პროფესორი ვაჟა სადრაძე

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

არქეოლოგიის დოქტორი (**Doctor in Archaeology**) მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის (60 კრედიტი) და კვლევითი კომპონენტის შესრულების შემთხვევაში; სწავლის ხანგრძლივობა არანაკლებ 3 წელი.

სწავლების ენა

ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც სტუ-ში არსებული წესის შესაბამისად აკმაყოფილებს დოქტორანტურაში ჩარიცხვის მოთხოვნებს.
სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.
სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.
სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისას მხედველობაში მიიღება:

- სამეცნიერო პუბლიკაციების არსებობა;
- სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა;
- სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საბუთები და მასალები (სერტიფიკატები, სიგელები და ა.შ.).

დოქტორანტობის კანდიდატი გასაუბრებას გადის საფაკულტეტო დროებით კომისიასთან.
არქეოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის კანდიდატს მოეთხოვება ერთ-ერთი უცხოური ენის (ინგლისურის, გერმანულის, ფრანგულის, რუსულის) B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი. უცხოური ენის B2 (ALTE) დონეზე ცოდნის სერტიფიკატის წარდგენისგან თავისუფლდება პირი, რომელსაც ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის კურსი გავლილი და დასრულებული აქვს ამ ენაზე.
სხვა შემთხვევაში, ჩარიცხვის კანდიდატი აბარებს გამოცდას უცხოურ ენაში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული), რომელიც ტარდება სტუ-ს საგამოცდო ცენტრში.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სამართლიანი და ხელმისაწვდომია.
საგამოცდო ტესტების ნიმუშები უცხო ენებში მოცემულია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე.
დოქტორანტურაში მიღების წესი და ჩარიცხვის პირობები მოცემულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

პროგრამის აღწერა

პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, 1 კრედიტი შეესაბამება 25 აკადემიურ საათს; მასში იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი საათები. კრედიტების განაწილება მოცემულია პროგრამის სასწავლო გეგმაში.

პროგრამა ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი (6 სემესტრი).

სასწავლო კომპონენტის ამოცანებია დოქტორანტის დარგობრივი და მეთოდოლოგიური მომზადება დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების განსახორციელებლად. სასწავლო კომპონენტი ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის წარმატებით მომზადებაში, მომავალ პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობაში. სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი შეადგენს 60 კრედიტს.

სემესტრის დაწყებამდე უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ბრძანებას სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ, რომელიც განთავსდება ვებ-გვერდზე: https://gtu.ge/Orders/

პირველი სემესტრი მოიცავს სასწავლო კომპონენტების ოთხ სავალდებულო ელემენტს, მათ შორის თემატურ სემინარ 1-ს (სულ 30 კრედიტი)
მეორე სემესტრი მოიცავს სასწავლო კომპონენტების სამ სავალდებულო ელემენტს, მათ შორის თემატურ სემინარ 2-ს (სულ 30 კრედიტი)

პროგრამით გათვალისწინებულ კვლევით კომპონენტებში შედის: **კვლევითი პროექტი/პროსპექტუსი, კოლოკვიუმი - 1, კოლოკვიუმი - 2, კოლოკვიუმი - 3, წინასწარი დაცვა, დისერტაციის დასრულება და დაცვა.** კვლევითი კომპონენტების შესრულების რიგითობის დაცვა არის სავალდებულო და თითოეული კომპონენტის შესრულება წარმოადგენს რიგით შემდგომი კვლევითი კომპონენტის წინაპირობას.

დეტალური ინფორმაცია მოცემულია სტუ-ის ვებგვერდზე https://gtu.ge/Learning/doq_debuleba.php

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია:

- პროფესიონალი მკვლევარის მომზადება ძველ ცივილიზაციათა შემსწავლელ არქეოლოგიურ პროექტებში მონაწილეობისა და გადაწყვეტისათვის სფეროში არსებული იმ ურთულესი პრობლემებისა, რომლებიც დაკავშირებულია არქეოლოგიური კულტურების ეთნიკურ და სოციალურ ასპექტებსა და უძრავ-მოძრავი ძეგლების ტექნიკური ატრიბუციის თუ კონსერვაციის საკითხებთან;
- კურსდამთავრებულმა შეძლოს სწავლების და პროფესიული კვლევის მეთოდების, ასევე, თვით კვლევის შედეგების პრაქტიკულ, პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობაში გამოყენება.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

გარდაქმნის
კულტურული მემკვიდრეობის მოპოვების და ინტერდისციპლინური კვლევის სფეროში დარგის უახლეს მიღწევებზე დამყარებულ ფუნდამენტურ და სისტემურ ცოდნას, რომლის გაფართოება-გაღრმავება ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა (რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე); სწავლების თანამედროვე მეთოდის თეორიულ საფუძლებს - სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებად.
განჭვრეტს
ძველი კულტურების და სოციალური სისტემების შემსწავლელი დარგების ფარგლებში აკუმულირებული ცოდნის გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით ცოდნის განახლებულ ფარგლებს.
გეგმავს
არქეოლოგიური კვლევის და სწავლების სტრატეგიას.
პროგნოზირებს
ინოვაციური ცოდნის შექმნაზე ორიენტირებულ კვლევით შედეგებს; არქეოლოგიური ძეგლების ისტორიულ-ტიპოლოგიური ატრიბუციისათვის ტექნიკა-ტექნოლოგიური პარამეტრების ფაქტორს; კვლევის ობიექტის თუ დარგის სადისკუსიო პრობლემების გადაჭრის გზებს; სამეცნიერო ნაშრომის შედეგების და წინააღმდეგობრივი პროფესიული თვალსაზრისებისა და მიდგომების კრიტიკული შეფასების საფუძველზე შემუშავებული ადეკვატური მეთოდოლოგიის გამოყენების ეფექტს; ახალი სამეცნიერო და მეთოდოლოგიური ცოდნის არსებულ ცოდნასთან კავშირის პერსპექტივებს.
შეიმუშავებს
პროფესიულ საქმიანობაში ახლებურ კვლევით და ანალიტიკურ მიდგომებს.
დამოუკიდებლად **წარმართავს** სასწავლო პროცესს სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების, ტექნოლოგიებისა და სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომების გამოყენებით.

სწავლის შედეგების მიღწევის ფორმები და მეთოდები

☒ლექცია ☒ სემინარი (ჯგუფში მუშაობა) ☒ პრაქტიკული ☐ ლაბორატორიული ☒სამეცნიერო-თემატური სემინარი ☒დამოუკიდებელი მუშაობა ☒კონსულტაცია ☒კვლევითი კომპონენტი ☒ დისერტაციის გაფორმება ☒დისერტაციის დაცვა

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდების ქვემოთ მოცემული შესაბამისი აქტივობები, რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში):

1. **დისკუსია/დებატები;**
2. **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** ;
3. **დემონსტრირების;**
4. **ანალიზის;**

5. **სინთეზის;**
6. **ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი;**
7. ინდუქციური;
8.დედუქციური;
9. გონებრივი იერიში (Brain storming)
10. **წერითი მუშაობის;**
11. **ლაბორატორიული;**
12. **პრაქტიკული;**
13. **ახსნა-განმარტებითი;**
14. **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება;**
15. **პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია.**
16. შემთხვევების შესწავლა (Case study);
17.ახსნა-განმარტებითი;
18. სიმულაციური, როლური თამაშები.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.
სასწავლო კომპონენტის შეფასება:
დადებითი შეფასებებია:

- **(A)** - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- **(B)** - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- **(C)** - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- **(D)** - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- **(E)** - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- **(FX)** - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
  (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი/კომპონენტების შეფასება:
ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;
ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;
ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;
ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

კვლევითი კომპონენტი ფასდება ერთჯერადად, დისერტაციის დაცვის ეტაპზე, დასკვნითი შეფასებით.

დასაქმების სფერო

არქეოლოგიური კვლევის პროექტები (ექსპედიციები), მუზეუმები, ჰუმანიტარული და ტექნიკური სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები, საექსპერტო, კულტურულ-საგანმანათლებლო და სპეციალიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები, უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულებები; შესაბამისი პროფილის სამთავრობო სტრუქტურები.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით.
(იხ.დანათები)
პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები;
- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;
- კომპიუტერული ცენტრები, კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგ-რამები;
- სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო ტექნიკური კვლევის _ გეოლოგიის, მინერალოგიის, ძვირფასი და სანახევო ქვების დიაგნოსტიკის, გეოფიზიკის, ანალიზური ქიმიის, მასალათმცოდნეობის, მეტალოგრაფიული და ინფორმაციული ტექნოლოგიების _ ლაბორატორიები. აგრეთვე, დოქტორანტის კვლევითი საქმიანობის სრულფასოვნად წარმართვისათვის, საქართველოს ეროვნული მუზეუმის სარესტავრაციო ლაბორატორიები.

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (www.gtu.ge) განთავსებული ელექტრონული კატალოგით.
პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფენ:

1. გივი ინანიშვილი - პროფესორი
2. ვაჟა სადრაძე - ასოცირებული პროფესორი
3. რევაზ ძნელაძე - ასოცირებული პროფესორი
4. ნოდარ ფოფორაძე - პროფესორი
5. ლია მეტრეველი – პროფესორი

თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 5

პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	საგნის კოდი	სასწავლო და კვლევითი კომპონენტები	დაშვების წინაპირობა	I წელი		II წელი		III წელი	
				I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	V სემესტრი	VI სემესტრი
		სასწავლო კომპონენტების სავალდებულო ელემენტები		**30**	**30**				
1	EDU10312G1-LS	სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა	არ აქვს	4					
2	HEL29112G1-L	ქართველთა ეთნოგენეზისი	არ აქვს	10					
3	EDU10912G1-LS	სწავლების მეთოდები	არ აქვს	6					

4	HEL24712G1-LP	სამეცნიერო კვლევის მეთოდები არქეოლოგიაში	არ აქვს		5				
5	PHS36803G1-LP	გეოარქეოლოგია	არ აქვს		10				
6	-	თემატური სემინარი - 1	არ აქვს	10					
7	-	თემატური სემინარი - 2	თემატური სემინარი - 1		15				
		სასწავლო კომპონენტები		30	30	-	-	-	-
				60		-			
		კვლევითი კომპონენტები		-					

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	საგნის კოდი	სასწავლო კომპონენტი	ESTS კრედიტი/საათი	საათი						
				ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	შუასემესტრული გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა
1	EDU10312G1-LS	სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა	4/100	15	15			1	1	68
2	HEL29112G1-L	ქართველთა ეთნოგენეზისი	10/250	75				2	2	171
3	EDU10912G1-LS	სწავლების მეთოდები	6/150	30	30			2	2	86
4	HEL24712G1-LP	სამეცნიერო კვლევის მეთოდები არქეოლოგიაში	5/125	15		30		2	1	77
5	PHS36803G1-LP	გეოარქეოლოგია	10/250	30		45		2	2	171

პროგრამის ხელმძღვანელი ვაჟა სადრაძე

საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა
და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ეკატერინე შაკიაშვილი

საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა
და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი ივანე ჯაგოდნიშვილი

მიღებულია
ბიზნეს-ინჟინერინგის
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
12 დეკემბერი 2013 წელი

შეთანხმებულია
სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან დავით მახვილაძე

მოდიფიცირებულია
საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა
და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
საბჭოს სხდომაზე
2 აგვისტო, 2022 წელი
ოქმი №74
ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე ივანე ჯაგოდნიშვილი

პროგრამის სწავლის შედეგი[1]

სასწავლო კურსი	**განჭვრეტს** ძველი კულტურების და სოციალური სისტემების შემსწავლელი დარგების ფარგლებში აკუმულირებული ცოდნის გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით ცოდნის განახლებულ ფარგლებს.	**გეგმავს** არქეოლოგიური კვლევის და სწავლების სტრატეგიას	**პროგნოზირებს** ინოვაციური ცოდნის შექმნაზე ორიენტირებულ კვლევით შედეგებს; არქეოლოგიური ძეგლების ისტორიულ-ტიპოლოგიური ატრიბუციისათვის ტექნიკა-ტექნოლოგიური პარამეტრების ფაქტორს; კვლევის ობიექტის თუ დარგის სადისკუსიო პრობლემების გადაჭრის გზებს; სამეცნიერო ნაშრომის შედეგების და წინააღმდეგობრივი პროფესიული თვალსაზრისებისა და მიდგომების კრიტიკული შეფასების საფუძველზე შემუშავებული ადეკვატური მეთოდოლოგიის გამოყენების ეფექტს; ახალი სამეცნიერო და სწავლების მეთოდოლოგიური ცოდნის არსებულ ცოდნასთან კავშირის პერსპექტივებს.	**შეიმუშავებს** პროფესი-ულ საქმიანობაში ახლებურ კვლევით და ანალიტიკურ მიდგომებს.	დამოუკიდებლად **წარმართავს** სასწავლო პროცესს სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების, ტექნოლოგიებისა და სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომების გამოყენებით.

[1] პროგრამის სწავლის შედეგებში მიუთითეთ შესაბამისი რიცხვიები: გაცნობა - *1*; გაღრმავება - *2*; განმტკიცება -*3*.

სასწავლო კომპონენტი						
1. სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა	1		1		1	
2. ქართველთა ეთნოგენეზისი	1	1		1	1	
3. სწავლების მეთოდები					3	3
4. სამეცნიერო კვლევის მეთოდები არქეოლოგიაში	2	2	2	2	2	
5. გეოარქეოლოგია	2		2	2		
6. კვლევითი კომპონენტი	3	3	3	3	3	3

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა[2]

პროგრამის მიზნები	**გარდაქმნის** კულტურული მემკვიდრეობის მოპოვების და ინტერდისციპლინური კვლევის სფეროში დარგის უახლეს მიღწევებზე დამყარებულ ფუნდამენტურ და სისტემურ ცოდნას, რომლის გაფართოება-გაღრმავება ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა (რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე); სწავლების თანამედროვე მეთოდის თეორიულ საფუძლებს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებად.	**განჭვრეტს** ძველი კულტურების და სოციალური სისტემების შემსწავლელი დარგების ფარგლებში აკუმულირებული ცოდნის გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით ცოდნის განახლებულ ფარგლებს.	**გეგმავს** არქეოლოგიური კვლევის და სწავლების სტრატეგიას	**პროგნოზირებს** ინოვაციური ცოდნის შექმნაზე ორიენტირებულ კვლევით შედეგებს; არქეოლოგიური ძეგლების ისტორიულ-ტიპოლოგიური ატრიბუციისათვის ტექნიკა-ტექნოლოგიური პარამეტრების ფაქტორს; კვლევის ობიექტის თუ დარგის სადისკუსიო პრობლემების გადაჭრის გზებს; სამეცნიერო ნაშრომის შედეგების და წინააღმდეგობრივი პროფესიული თვალსაზრისებისა და მიდგომების კრიტიკული შეფასების საფუძველზე შემუშავებული ადეკვატური მეთოდოლოგიის გამოყენების ეფექტს; ახალი სამეცნიერო და მეთოდოლოგიური ცოდნის არსებულ ცოდნასთან კავშირის პერსპექტივებს.	**შეიმუშავებს** პროფესი-ულ საქმიანობა-ში ახლებურ კვლევით და ანალიტი-კურ მიდგომებს.	დამოუკიდებლ ად **წარმართავს** სასწავლო პროცესს სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების, ტექნოლოგიებ ისა და სტუდენტზე ორიენტირებუ ლი მიდგომების გამოყენებით.
პროფესიონალი მკვლევარის მომზადება ძველ ცივილიზაციათა შემსწავლელ არქეოლოგიურ პროექტებში მონაწილეობისა და	√	√	√	√	√	

[2] პროგრამის სწავლის შედეგები მონიშნეთ „√“ სიმბოლოთი.

გადაწყვეტისათვის სფეროში არსებული იმ ურთულესი პრობლემებისა, რომლებიც დაკავშირებულია არქეოლოგიური კულტურების ეთნიკურ და სოციალურ ასპექტებთან.						
პროფესიონალი მკვლევარის მომზადება ძველ ცივილიზაციათა შემსწავლელ არქეოლოგიურ პროექტებში მონაწილეობისა და გადაწყვეტისათვის სფეროში არსებული იმ ურთულესი პრობლემებისა, რომლებიც დაკავშირებულია უძრავი და მოძრავი ძეგლების ტექნიკური ატრიბუციის თუ კონსერვაციის საკითხებთან.	√	√		√	√	
კურსდამთავრებულმა შეძლოს სწავლების და პროფესიული კვლევის მეთოდების, ასევე, თვით კვლევის შედეგების პრაქტიკულ, პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობაში შემოქმედებითად გამოყენება.					√	√

[2] პროგრამის სწავლის შედეგები მონიშნეთ „√“ სიმბოლოთი.